



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

შავი ზღვის უსაფრთხოება ნატოს ყურადღების ცენტრში

შოთა ღვინია

72

ეპსკეიტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

შოთა ღვინერია

შავი ზღვის უსაფრთხოება ნატოს ყურადღების ცენტრში

72

2016



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2016 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-9565-8

ევროატლანტიკური სტრატეგიული უსაფრთხოების გარემო

ევროატლანტიკური უსაფრთხოება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე რთული გამოწვევების წინაშე დგას. ნატოს ისტორიაში პირველად ხდება, რომ საფრთხეები ერთდროულად მომდინარეობს როგორც აღმოსავლეთიდან, ისე სამხრეთიდან. ამასთან, ნატოს, რომლის უპირველესი ფუნქცია კონვენციური საფრთხეების შეკავებაა, პირველად უწევს ტერორიზმის საფრთხესთან ერთად სერიოზულ ჰიბრიდულ საფრთხეებთან გამკლავება.

ალიანსის სამხრეთიდან წამოსული საფრთხეები, რომლებიც ძირითადად სირიაში არსებული რთული ვითარებიდან გამომდინარე მიგრაციისა და შიდა ტერორიზმის პრობლემების უკიდურესად გამწვავებას უკავშირდება, კარგი მაგალითია იმისა, თუ ახალ გამოწვევებთან გამკლავების პროცესში უსაფრთხოების რამდენად განსხვავებულ გარემოსთან უხდება ნატოს ადაპტირება. ეგრეთ წოდებული თანამედროვე საფრთხეების, განსაკუთრებით კი, საინფორმაციო ომის ელემენტების შიდაპოლიტიკურ პროცესებზე ნეგატიური გავლენის ტენდენცია ნათლად წარმოაჩინა უკანასკნელ პერიოდში ალიანსის წევრ სახელმწიფოებში საერთო ევროატლანტიკურ ფასეულობებთან დაპირისპირებული და პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკური ძალების პოპულარობის ზრდამ.

აღმოსავლეთ ფლანგზე მნიშვნელოვნად არის გაზრდილი რევანშისტული რუსეთისაგან მომდინარე საფრთხეები, რომელიც თავისი აგრესიული პოლიტიკით ცდილობს მოშალოს საზღვრების ურღვევობასა და ქვეყნების სუვერენიტეტზე დამყარებული უსაფრთხოების სისტემა და ევროატლანტიკურ სივრცეში ექსკლუზიური გავლენის სფეროები დაიბრუნოს. რუსეთმა შეძლო ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის ფუნდამენტური პრინციპების დარღვევის საპასუხოდ დასავლეთის თავშეკავებული რეაქციის სტრატეგიულ უპირატესობად გარდაქმნა და სამეზობლოში საკუთარი ინტერესების გატარებას ესკალაციის მუქარით ახერხებს.

რუსეთმა ფაქტობრივად წარმატებით დაამკვიდრა ახალი რეალობების შექმნის ტენდენცია და თავისი შექმნილი პრობლემებიდან ყურადღების ეპიცენტრის თავისივე შექმნილ უფრო მწვავე პრობლემაზე გადატანის პრაქტიკა. დღეისათვის უკრაინის კრიზისი არის რუსეთის აგრესიული პოლიტიკის ყველაზე მწვავე გამოვლინება, რომელმაც, ერთი მხრივ, გადაფარა რეგიონის სხვა ქვეყნების პრობლემატიკა, მეორე მხრივ კი, ნატოს დღის წესრიგში

გააქტიურა აღმოსავლეთ ფლანგის უსაფრთხოების გაძლიერების საკითხი. საგულისხმოა, რომ იმპერიული სტატუსისთვის სამხედრო ძალის გამოყენებით ბრძოლა და ცივი ომის შემდგომი სტატუს-კვოს რღვევა რუსეთმა შავი ზღვის რეგიონში გავლენის გაძლიერებით, კერძოდ კი, საქართველოს წინააღმდეგ 2008 წელს განხორციელებული აგრესიით დაიწყო. თავის მხრივ, სირიაში არსებული ვითარების ესკალაციაში შეტანილი წვლილით რუსეთი ცდილობს ნატოს ყურადღება აღმოსავლეთ ფლანგის საჭიროებებიდან სამხრეთისაკენ გადაიტანოს და ამით ალიანსში უსაფრთხოების გამონწვევებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა შექმნას.

მიუხედავად იმისა, რომ რიტორიკის დონეზე რუსეთი არ ერიდება ნატოსთან ურთიერთობების დაძაბვას, ალიანსის წევრი სახელმწიფოების კოლექტიური სამხედრო შესაძლებლობების აშკარა უპირატესობის გათვალისწინებით ნაკლებ სავარაუდოა, რომ რუსეთმა გაბედოს უშუალო ან პირდაპირი სამხედრო დაპირისპირება და რომელიმე წევრ სახელმწიფოზე თავდასხმა. ამასთან, საგულისხმოა, რომ ჰიბრიდული ომის საშუალებების გამოყენებაში შექმნილი უპირატესობის ხარჯზე რუსეთი არანაკლებ რეალურ გამონწვევებს უქმნის ალიანსის უსაფრთხოებას. პოლიტიკური ინფილტრაციით, ეკონომიკური ზეწოლით, კიბერშეტევებით, საინფორმაციო ომითა და სხვა მსგავსი არაკონვენციური საშუალებებით რუსეთს რეალურად შეუძლია შეუქმნას სერიოზული საფრთხე მოკავშირეებს ნატოს მხრიდან მეტუთე მუხლის ამოქმედებისთვის აუცილებელი წითელი ხაზის გადაკვეთის გარეშე¹.

დამატებით, რუსეთი ნატოს არანევერ მეზობელ ქვეყნებში თავისივე შექმნილ დესტაბილიზაციის კერებსა და კონფლიქტებს ამ ქვეყნების დემოკრატიული განვითარებისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესების შესაფერხებლად იყენებს. რუსეთი აქტიურად ცდილობს დესტაბილიზაცია აქციოს საგარეო პოლიტიკის იარაღად, ნატოსა და ევროკავშირის მისი სამეზობლოდან დისტანცირებისა და რეგიონის ქვეყნებზე საკუთარი გავლენის გაძლიერებისთვის.

ბუნებრივია, ამგვარი კომპლექსური გარემო გარკვეულ პრობლემებს ქმნის, რომ ალიანსის წევრმა 28 სახელმწიფომ ერთნაირად შეაფასოს არსებული გამონწვევები და მათზე რეაგირებისთვის ერთიანი მიდგომები შეიმუშაოს. მიუხედავად ამისა, 2016 წლის ივლისში გამართულ ვარშავის სამიტზე მოკავშირეებმა შეძლეს რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულებით ხელშესახები პროგრე-

სის დაფიქსირება: პირველი – ყირიმის ანექსიამ და სირიაში რუსეთის დესტრუქციულმა ჩართულობამ საბოლოო ჯამში „მალვიძარას“ როლი ითამაშა და ალიანსმა ერთმნიშვნელოვნად აღიარა რუსეთისგან მომავალი რეალური საფრთხე; მეორე – ალიანსმა დარწმუნების ზომებიდან, რაც პოლიტიკური დეკლარაციის დონეზე გულისხმობდა ნატოს სურვილისა და შესაძლებლობის დადასტურებას, დაიცვას თავისი წევრები, გადავიდა შეკავების ფარგლებში აღმოსავლეთ ფლანგის ქვეყნებში სამხედრო ყოფნის გაძლიერებაზე; მესამე – ალიანსმა მიიღო მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებები როგორც კოლექტიურ თავდაცვაზე აქცენტირების, ისე ალიანსის საზღვრებს მიღმა პარტნიორობთან ერთად სტაბილურობის განვრცობის თაობაზე.

ამ მიმართულებით საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია მოკავშირეთა გადაწყვეტილება შავი ზღვის უსაფრთხოების გაძლიერებაში ნატოს აქტიურად ჩართვის შესახებ. სამიტის დეკლარაციაში ასევე დაფიქსირდა, რომ საქართველო, როგორც ღირებული პარტნიორი, ჩაერთვება შავი ზღვის უსაფრთხოების შესახებ სტრატეგიულ დიალოგში. მოგვიანებით, 27 ოქტომბერს გამართულ ნატოს თავდაცვის მინისტრთა შეხვედრაზე, ალიანსის წევრმა ექვსმა სახელმწიფომ (კანადა, აშშ, პოლონეთი, გერმანია, ჰოლანდია, თურქეთი) გამოხატა მზადყოფნა წვლილი შეიტანოს შავი ზღვის რეგიონში ნატოს გაძლიერებულ ყოფნაში, არა მხოლოდ საზღვაო, არამედ საჰაერო და სახმელეთო კომპონენტებშიც².

ამ ეტაპზე ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია ალიანსის მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების პრაქტიკულ განხორციელებასთან დაკავშირებული კონკრეტული გეგმები. შესაბამისად, წინამდებარე სტატიის მიზანია ხელი შეუწყოს ვარშავის სამიტის შემდეგ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების ირგვლივ გაჩენილ კითხვებზე პასუხების მოძებნას – რატომ არის შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცება მნიშვნელოვანი ნატოსთვის და რა როლი ეკისრება საქართველოს ამ პროცესში?

შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით შავი ზღვის ფართო რეგიონი არის დამაკავშირებელი რგოლი კასპიის, ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვის აუზებს შორის და წარმოადგენს ხელსაყრელ დერეფანს ახლო აღმოსავლეთში გასასვლელად. აქედან გამომდინა-

რე, მსოფლიო ძალების ინტერესის სფეროში ყოველთვის შედიოდა შავ ზღვაზე გამავალ მნიშვნელოვან სავაჭრო გზებზე კონტროლის დამყარება. ცივი ომის დასრულების შემდეგ შავი ზღვის რეგიონი აშშ-ის ინტერესთა სფეროში სამი ძირითადი მიზეზით მოხვდა: დემოკრატიის გავრცელება, თანამშრომლობა უსაფრთხოების სფეროში და ენერგომატარებლების დივერსიფიკაცია. როგორც დემოკრატიული რეფორმების, ისე ახლო აღმოსავლეთში ტერორიზმთან ბრძოლისა და მნიშვნელოვანი ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის კომპონენტებში საქართველო აშშ-სთვის და ზოგადად დასავლეთისთვის უმნიშვნელოვანეს დასაყრდენს წარმოადგენს რეგიონში.

რუსეთის ინტერესებთან ფუნდამენტურად არათავსებადი როგორც რეგიონის ქვეყნების დემოკრატიული განვითარება, ისე მათი მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობა ნატოს წევრ სახელმწიფოებთან. რუსეთისთვის ასევე მიუღებელია რეგიონის გავლით ევროპისაკენ ნავთობისა და გაზის ალტერნატიული პროექტების განვითარება. შესაბამისად, რეგიონის ქვეყნებზე გავლენის გაზრდისა და მათი დასავლურ სტრუქტურებთან დაახლოების შესაფერხებლად რუსეთი ქმნის და ინარჩუნებს კონტროლს რეგიონის კონფლიქტურ კერებზე. ერთი შეხედვით, რეგიონში არსებული კონფლიქტების განსხვავებული ხასიათის მიუხედავად, სწორედ რუსეთის ინტერესები და სრული კონტროლი აერთიანებს ყარაბაღის, აფხაზეთის, ცხინვალის, დნესტრისპირეთისა და დონბასის კონფლიქტურ რეგიონებს.

ყირიმის ანექსიის შემდეგ რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული უპრეცედენტო მილიტარიზაციის შედეგად შავი ზღვის რეგიონში სამხედრო ბალანსი არსებითად შეიცვალა რუსეთის სასარგებლოდ. რუსეთმა ყირიმში გააძლიერა როგორც შავი ზღვის ფლოტი, ასევე საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობები და სხვადასხვა ტიპის მართვადი სარაკეტო სისტემები. ამით რუსეთს მიეცა წვდომა შავი ზღვის ყველა ქვეყნის თითქმის სრულ ტერიტორიაზე³. იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონის სამი ზღვისპირა სახელმწიფო არის ნატოს წევრი, რუსეთის მნიშვნელოვან სამხედრო უპირატესობას და რეგიონში მის აგრესიულ პოლიტიკას ნატო აღიქვამს, როგორც შემამოფოთებელ საფრთხეს შავი ზღვის რეგიონისათვის და გამონწევას მთლიანად ევროატლანტიკური უსაფრთხოებისათვის.

გარდა ამისა, შავი ზღვის რეგიონი წარმოადგენს ავანსცენას, სადაც ნატოს და რუსეთის სამხედრო ძალებს ყველაზე

მჭიდროდ უწევთ ურთიერთქმედებას, რაც მუდმივი დაძაბულობის წყაროს წარმოადგენს⁴. ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს ის ფაქტი, რომ რუსეთს შეღწევის საზღვარგარეთ და ტერიტორიული შეზღუდვის (Anty-access and areal denial - A2/AD) სისტემებით, ფაქტობრივად, სრულად აქვს დაფარული შავი ზღვის რეგიონი. ვითარების სიმწვავეს ადასტურებს უკანასკნელ პერიოდში აშშ-ის გამანადგურებელი ხომალდის (USS Ross) და რუსულ ბომბდამშენის (SU 24) ურთიერთქმედებით გამოწვეული ესკალაცია, რომლის დროსაც რუსეთის ავიაციამ ელექტრონული ომის საშუალებების გამოყენებით მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა ამერიკულ ხომალდს⁵. შავი ზღვის რეგიონში არსებული ძალზე მყიფე უსაფრთხოების გარემოს ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინება იყო თურქეთის მიერ რუსული თვითმფრინავის ჩამოგდება, რამაც, ბუნებრივია, ნატოსა და რუსეთს შორის ურთიერთობები კიდევ უფრო დაძაბა. დაძაბული ვითარების კულმინაციამდე მისვლა ირიბად დაადასტურა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედროლანმა, რომელმაც ნატოს გენერალურ მდივანს განუცხადა: „თქვენ [ნატო] არ ხართ წარმოდგენილი შავ ზღვაზე, რის გამოც ის თითქმის რუსულ ტბად გადაიქცა“.⁶

რეგიონის ზღვისპირა ქვეყნებიდან ნატოს სამი წევრი (თურქეთი, რუმინეთი, ბულგარეთი) და ალიანსის ორი მნიშვნელოვანი პარტნიორი (უკრაინა, საქართველო) თანხმდებიან, რომ რუსეთი წარმოადგენს გამოწვევას რეგიონის უსაფრთხოებისთვის და თითოეული ქვეყნისათვის. თუმცა საგულისხმოა, რომ შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს, ხშირად ინტერესთა თანხვედრის შემთხვევაშიც კი, არსებულ გამოწვევებთან გამკლავებისა და შემაკავებელი ტაქტიკის თაობაზე ერთმანეთისაგან განსხვავებული ხედვა აქვთ.

თურქეთის პრეზიდენტის ზემოაღნიშნული განცხადება ორმაგად საინტერესოა იმის გათვალისწინებით, რომ ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რატომაც ნატო სათანადოდ არ არის წარმოდგენილი შავ ზღვაზე, სწორედ თურქეთის მიერ წლების განმავლობაში წარმოებული პოლიტიკაა. რეგიონში ნატოს როლის შესამცირებლად თურქეთის ინიციატივით 2001 წელს შეიქმნა მრავალეროვნული სამხედრო-საზღვაო ოპერატიული ჯგუფი „ბლექსიფორი“, რომელიც მოგვიანებით გაძლიერდა საზღვაო-სამეთვალყურეო ოპერაცია „შავი ზღვის ჰარმონის“ მეშვეობით. აღნიშნულმა ინიციატივებმა შექმნეს ილუზია, რომ რეგიონის ზღვისპირა სახელმწიფოს თანამშრომლობით გარკვეულწილად შესაძლებელია რეგიონული

უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რამაც გამოიწვია ის, რომ შავი ზღვა დღეისათვის არის ნატოს აღმოსავლეთ ფლანგის ყველაზე მონყვლადი და ნაკლებად დაცული სეგმენტი. ამ ეტაპზე ორივე ინიციატივის ფუნქციონირება და სამომავლო პერსპექტივები მნიშვნელოვნად არის შეზღუდული რუსეთის მიერ საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის ფონზე.

ერთ-ერთ მთავარ მიზეზს, რატომაც თურქეთი დაინტერესებულია შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მაქსიმალურად გააძლიეროს რეგიონის ზღვისპირა ქვეყნების როლი, წარმოადგენს 1936 წელს ხელმოწერილი მონტროს კონვენცია. ხაზგასასმელია, რომ თურქეთი, კონვენციის მიხედვით, ბოსფორის სრუტის გაკონტროლებისათვის მისთვის მინიჭებულ მნიშვნელოვან პრივილეგიებსა და უპირატესობას ტრადიციულად საკუთარი უსაფრთხოების საფუძვლად განიხილავს. თუმცა, რუსეთის ამჟამინდელი აგრესიული პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სამხედრო უპირატესობის გათვალისწინებით, თურქეთს გაუჭირდება შავ ზღვაში თავისი ტრადიციული პოლიტიკის გაგრძელება. დამატებით უნდა ითქვას, რომ სირიის საზღვართან არსებული რთული ვითარების გამო თურქეთის უსაფრთხოება დიდწილად არის დამოკიდებული ნატოს მიერ „პატრიოტის“ საჰაერო თავდაცვის სისტემების განლაგების გაგრძელებაზე. შესაბამისად, თურქეთს მოუწევს შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით თანამშრომლობის საკითხში რუსეთთან და ნატოსთან ბალანსის გამონახვა. შავ ზღვაზე ნატოს როლის შეზღუდვა რეგიონში თურქეთისა და რუსეთის ინტერესების დამთხვევის იშვიათი გამონაკლისია. ძირითადად, რეგიონის ამ ორი დიდი სახელმწიფოს ინტერესები ერთმანეთთან შეუთავსებელია, რაც ბუნებრივად იწვევს მათ ურთიერთობებში ხშირ და არაპროგნოზირებად ცვლილებებს.

ბულგარეთი შედარებით თავშეკავებულ პოზიციებს ინარჩუნებს და შავ ზღვაზე უსაფრთხოების ახალი ფორმატების და სანაპირო ზოლს მიღმა მყოფი მოკავშირეების აქტიური ჩართვით რუსეთის გაღიზიანებას ერიდება. შესაბამისად, თურქეთის მსგავსად, ბულგარეთიც მხარს უჭერს თანამშრომლობის არსებული მექანიზმების გააქტიურებას და ზღვისპირა ქვეყნების სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერებას. საგულისხმოა, რომ ბულგარეთში 2016 წლის ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებამდე აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით არ არსებობდა ერთიანი სახელისუფ-

ლებო პოზიცია, შესაბამისად, საინტერესო იქნება სოფლის ოფიციალური პოზიცია ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდგომ.

რუმინეთი შავ ზღვაზე ნატოს გააქტიურების ერთ-ერთი უმთავრესი ლობისტია და თანდათანობით ყალიბდება რეგიონში ალიანსის მნიშვნელოვან პლაცდარმად. ვარშავის სამიტისთვის მზადების პროცესში რუმინეთი ნატოს შავი ზღვის ფლოტის შექმნის აუცილებლობის ინიციატივით გამოვიდა. ამას დადებითი გამოხმაურება მოჰყვა როგორც ნატოს შტაბბინაში, ისე ვაშინგტონში, ბერლინსა და რომში. საგულისხმოა, რომ ნატოს თავდაცვის მინისტრების 2016 წლის ოქტომბერში გამართული შეხვედრის შემდეგ ნატოს გენერალურმა მდივანმა მხოლოდ ზოგადად აღნიშნა, რომ მოკავშირეები შეთანხმდნენ შავი ზღვის რეგიონში საზღვაო და საჰაერო კომპონენტებში ნატოს გაზრდილი სამხედრო ყოფნის უზრუნველსაყოფად გასატარებელი კონკრეტული ზომების შესახებ⁷. ბუნებრივია, რომ შავი ზღვის აკვატორიაში სანაპირო ზოლის ქვეყნების გარდა სხვა მოკავშირეებისათვის მონტროს კონვენციით დაწესებული 21-დღიანი ყოფნის შეზღუდვა, გარკვეულ პრობლემებს შეუქმნის აღნიშნული ინიციატივის განხორციელებას. სახმელეთო და საჰაერო კომპონენტებში რუმინეთი უკვე მასპინძლობს ნატოს სამხრეთ-აღმოსავლეთის მრავალეროვან შტაბბინას და მის ტერიტორიაზე უკვე განლაგდა ნატოს საჰაერო თავდაცვის სისტემების გარკვეული ნაწილი.

უკანასკნელ წლებში შავი ზღვის რეგიონში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ რეგიონში მიმდინარე პროცესები პირდაპირ ზეგავლენას ახდენენ ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაზე. ასევე აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის რეგიონში, გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ხდება სამხრეთიდან მომდინარე საფრთხეების რუსეთის საფრთხესთან შერწყმა და აკუმულირების ეს ეფექტი კიდევ უფრო ამძიმებს რეგიონულ უსაფრთხოებას.

ასევე საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა არ ნიშნავს მხოლოდ ნატოს ნევრი ზღვისპირა სახელმწიფოების უსაფრთხოების გაძლიერებას და მოითხოვს უფრო სტრატეგიულ მიდგომას ევროპული უსაფრთხოებისთვის, რეგიონის მეტად მნიშვნელოვანი როლიდან გამომდინარე. შესაბამისად, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ალიანსმა უმოკლეს პერიოდში შეიმუშაოს რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ნატოს პარტნიორი ქვეყნების მაქსიმალურად ჩართულობის სამოქმედო გეგმა. ამ ეტაპზე საქართველო და უკრაინა ალიანსისგან

კონკრეტულ წინადადებებს ელოდებიან და გამოხატავენ მზადყოფნას ხელთ არსებული საშუალებებით სრულად ჩაერთონ შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებულ ნატოს ღონისძიებებში.

პარტნიორობის და ჩართულობის როლი ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში

არსებული ვითარების ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ შავი ზღვის რეგიონში რუსეთის აგრესიულ ქმედებებზე ადეკვატური პასუხი დიდწილად განსაზღვრავს ევროპაში წესებზე დამყარებული უსაფრთხოების სისტემის შემდგომი ფუნქციონირების საკითხს. რევიზიონისტული პოლიტიკის მეთოდურად გატარებით რუსეთმა არაერთხელ დაადასტურა, რომ სწორედ ამ რეგიონში ცდილობს გაავლოს გამყოფი ხაზი საკუთარი გავლენის ექსკლუზიური სფეროს დასაკანონებლად. იმის გათვალისწინებით, რომ ალიანსის მისიას წარმოადგენს არა მხოლოდ მისი წევრების ტერიტორიის, არამედ ევროატლანტიკური უსაფრთხოების, სტაბილურობისა და დემოკრატიული ღირებულებების დაცვა, შავი ზღვის რეგიონი ბუნებრივად არის აღმოსავლეთ ფლანგზე ნატოს შეკავების პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ასევე ნათელია, რომ შავი ზღვის რეგიონში ამ ეტაპზე არსებული სტატუს-კვო პირველ რიგში რუსეთის ინტერესებში შედის, რადგანაც ის მეტ-ნაკლებად აკონტროლებს უსაფრთხოების გარემოს მთელ რეგიონში და ნებისმიერ მომენტში შეუძლია სიტუაციის კიდევ უფრო გამძაფრება. საგულისხმოა, რომ ვარშავის სამიტამდე ნატოს არ გააჩნდა პროაქტიური სტრატეგიული ხედვა შავ ზღვაში უსაფრთხოების გარემოს ჩამოყალიბებაში საკუთარი როლის შესახებ⁸. ამ ეტაპზე ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ნატოს სამოქმედო გეგმები შავ ზღვაზე გამომდინარეობდეს მოკავშირეებისა და ალიანსის სტრატეგიული პარტნიორების გრძელვადიანი ინტერესებიდან და არ ეფუძნებოდეს მხოლოდ რუსეთის მიერ ნაკარნახევ რეალობებთან მორგებასა და მათზე საპასუხო ერთჯერად ქმედებებს.

ვარშავის სამიტზე კოლექტიური თავდაცვის გაძლიერებაზე მიღებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად გარკვეულწილად ედო როგორც ნატოს მიერ სხვადასხვა დროს ჩატარებული გათვალისწინებელი/საგანგებო ღონისძიებების დაგეგმვა, ისე საერ-

თაშორისო კვლევითი ორგანიზაციების დასკვნები, რომლებშიც ერთმნიშვნელოვნად ჩანს, რომ პირდაპირი სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში ნატოს ძალიან გაუჭირდება ბალტიისპირეთის ქვეყნების დაცვა⁹. ბუნებრივია, აღმოსავლეთ ფლანგის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში წამყვანი როლი წინა ხაზის ქვეყნებს ეკისრებათ, თუმცა ზემოხსენებულ კვლევებში ერთმნიშვნელოვნად არის ხაზგასმული უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის როლი ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. შესაბამისად, ნატოს ინტერესებში შედის, რომ სრულად იქნეს გამოყენებული არა მხოლოდ ნატოს წევრი ქვეყნების, არამედ სტრატეგიული პარტნიორების თავდაცვითი პოტენციალი. ექსპერტები თანხმდებიან, რომ ნატოს პარტნიორი ქვეყნების – შვედეთისა და ფინეთის – ჩართულობის გარეშე ფაქტობრივად წარმოუდგენელია ბალტიის რეგიონის სრულფასოვანი დაცვა. ანალოგიურად მნიშვნელოვანია საქართველოსა და უკრაინის როლი შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში.

ვარშავის სამიტზე მოკავშირეები ასევე შეთანხმდნენ, რომ პარტნიორი ქვეყნების თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება შედის ნატოს ინტერესებში და პირდაპირ ემსახურება ევროატლანტიკური უსაფრთხოების გაძლიერებას. აქედან გამომდინარე, საქართველოს სამხედრო შესაძლებლობების განვითარება განიხილება ნატოს აღმოსავლეთ ფლანგის უსაფრთხოების გაძლიერების კონტექსტში, რათა საქართველოს, როგორც რეგიონის ყველაზე სანდო და გამოცდილ პარტნიორს, მიეცეს დამატებითი შესაძლებლობები ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში რეინვესტირებისთვის. უდავოა, რომ შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში პარტნიორების სრული ჩართულობა ორმაგად პროდუქტიულია როგორც პარტნიორებისთვის, ისე საკუთრივ ალიანსის უსაფრთხოებისთვის.

ამ ეტაპზე საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ალიანსთან მჭიდრო კონსულტაციების საფუძველზე შავი ზღვის უსაფრთხოების გაძლიერების ყველა შესაძლო ფორმატში ნატოსთან აქტიურად მონაწილეობის კონკრეტული სამოქმედო გეგმები ჩამოყალიბდეს. შესაძლო ფორმატები მოიცავს მოქმედებათა სრულ სპექტრს, როგორც სახმელეთო საზღვაო და საჰაერო, ისე ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ თავდაცვის საშუალებების განვითარების მიმართულებით. წინასწარი კონსულტაციების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ნატო დაინტერესებულია

საქართველოსთან ითანამშრომლოს შავი ზღვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სადაზვერვო და ანალიტიკური ინფორმაციის გაცვლის სფეროში. ასევე შესაძლებელია ურთიერთობები გაღრმავდეს ერთობლივი წვრთნების, ვარჯიშებისა და ოპერაციების უზრუნველყოფის მიმართულებით. ჰიბრიდულ და ასიმეტრიულ საფრთხეებთან გამკლავების კუთხით შესაძლებელია სტრატეგიული კომუნიკაციების სფეროში თანამშრომლობის განვითარება.

სამხედრო შესაძლებლობებისა და მდგრადობის განვითარების უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავად, შავი ზღვის რეგიონში ნატოს შემდგომი გაფართოება არის ერთადერთი ადეკვატური პასუხი არსებული საფრთხეებისა და გამონეგეების სრულფასოვნად შესაკავებლად. ნათელია, რომ ნატოს ღია კარის პოლიტიკის ერთადერთი ალტერნატივა გავლენის სფეროების პირდაპირი ან ირიბი აღიარებაა, რასაც გამანადგურებელი ეფექტი ექნება მთლიანად ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაზე. შესაბამისად, საქართველოსთან მიმართებით აუცილებელია განევრიანების პროცესის დადებითი დინამიკის შენარჩუნება და ბუქარესტის სამიტის გადანწყვეტილების მიმართულებით, რომლის თანახმადაც საქართველო გახდება ნატოს წევრი, კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა.

ბიბლიოგრაფია

1. Janine Davidson, "Local Capacity is the First line of Defense Against the Hybrid Threats" *German Marshal Fund of the United States, Policy Brief*, September 2015.
2. Press conference by NATO Secretary General Jens Stoltenberg following the meeting of the North Atlantic Council at the level of NATO Defence Ministers, Brussels, Belgium, October 26, 2016, *NATO website*, www.nato.int/cps/en/natohq/opinions_136581.htm .
3. Vladimir Socor, "The Black Sea Region: NATO's Exposed Sector on the Eastern Flank (Part Two)", *Eurasia Daily Monitor*, June 24, 2016 - Volume 14, Issue 114.
4. Steven Horrell, "A NATO Strategy for Security in the Black Sea Region", *Atlantic Council*, October 2016.
5. *Independent*, www.independent.co.uk/news/world/europe/russian-military-jets-and-us-destroyer-clash-in-black-sea-posing-danger-to-stability-10287303.html .
6. *Financial Times*, www.ft.com/content/1b9c24d8-1819-11e6-b197-a4af20d5575e .
7. Topics, *Boosting NATO's presence in the east and southeast, North Atlantic Treaty Organization*, Last Updated October 27, 2016, www.nato.int/cps/en/natohq/topics_136388.htm .
8. Christopher S. Chivvis et al, "beyond NATO's Eastern Border", *German Marshal Fund of the United States, Foreign and Security Policy Paper*, 2016, No.26.
9. David A. Shlapak and Michael W. Johnson, "Reinforcing Deterrence on NATO's Eastern Flank", *Rand Corporation, Wargaming the Defense of the Baltics*, www.rand.org/pubs/research_reports/RR1253.html .